

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2010 წლის 4 ივნისის

№264 დადგენილება

ცვლილებები დოქტორის აკადემიური  
ხარისხის მიმნიჭებელ სადისერტაციო  
საბჭოს დებულებაში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს დებულებაში  
დაემატოს 8.9-8.11 პუნქტები:

- 8.9. დოქტორანტს, რომელიც დააგროვებს 180 კრედიტს და დისერტაციას წარადგენს საგანმანათლებლო პროგრამის დამამთავრებელი სემესტრის ბოლომდე, მაგრამ 8.1 პუნქტით განსაზღვრული დროის შუალედის შემდეგ, გაუგრძელდება სტუდენტის სტატუსი სადისერტაციო საბჭოს მიერ დაცვისთვის განსაზღვრული ვადის გათვალისწინებით.
- 8.10. დოქტორანტს, რომელიც დააგროვებს 180 კრედიტს, მაგრამ საგანმანათლებლო პროგრამის საანგარიშო (გეგმური) ვადის ან, დამატებითი სემესტრების განმავლობაში სწავლის გაგრძელებისას, სტუ-ში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის 5.7 პუნქტით მითითებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე არ წარადგენს დისერტაციას დასაცავად, დეკანის წარდგინებით შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი.
- 8.11. 8.10 პუნქტში მითითებულ სტატუსშეჩერებულ დოქტორანტს უფლება აქვს, სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, დისერტაციის დაცვის მიზნით სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე განცხადებით მიმართოს რექტორს; 7.1 პუნქტის შესაბამისად შექმნილი კომისია, საჯარო განხილვის გზით, შეაფასებს სადისერტაციო თემის აქტუალურობას და მიღებული შედეგების სამეცნიერო ღირებულებას. განხილვის შედეგად კომისიამ შეიძლება განსაზღვროს დამატებით დასაგროვებელი კრედიტების რაოდენობა და, შესაბამისად, დისერტაციის დასაცავად წარდგენის ბოლო ვადა. სტატუსშეჩერებულ დოქტორანტს დისერტაციის დასაცავად მხოლოდ ერთხელ შეიძლება აღუდგეს სტუდენტის სტატუსი.

12.5-12.7 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- 12.5. დისერტაციის დაცვაზე FX შეფასების (41-50 ქულა) მიღებისას, დოქტორანტს ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება ენიჭება.
- 12.6. 12.5 პუნქტში მითითებულმა დოქტორანტმა სტუდენტის სტატუსის გასაგრძელებლად დაცვიდან ერთი კვირის ვადაში განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს; წინააღმდეგ შემთხვევაში დეკანის წარდგინებით შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი, ხოლო თუ მან უკვე ისარგებლა 5.17 პუნქტში მითითებული უფლებით, მას შეუწყდება სტუდენტის სტატუსი.
- 12.7. დისერტაციის დაცვაზე F შეფასების (0-40 ქულა) ან განმეორებით FX შეფასების (41-50 ქულა) მიღებისას, დოქტორანტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას; მას უწყდება სტუდენტის სტატუსი.

საფუძველი: “საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ”;

”საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანება “უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე”;

”საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №105 ბრძანება “უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ”.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი

გ. სალუქვაძე